დანართი N1

„დამტკიცებულია“
სსიპ - კოლეჯის „მერმისი“ დირექტორის
2020 წლის 30.11. N 04-349 ბრძანებით

სსიპ -კოლეჯის „მერმისი“ მიერ აპლიკანტთა კონკურსის გზით შერჩევის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი არეგულირებს აპლიკანტების შერჩევას იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.
2. სსიპ - კოლეჯის „მერმისი“ (შემდგომში - კოლეჯი) მიერ ორგანიზებული კონკურსის შედეგების საფუძველზე, განხორციელდება იმ აპლიკანტთა გამოვლენა, რომლებიც სწავლას განაგრძობენ შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

მუხლი 2. კონკურსში მონაწილეობის წინაპირობა

კოლეჯის მიერ ორგანიზებულ კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (შემდგომში - მართვის სისტემა) რეგისტრირებულ აპლიკანტს, რომელიც სწავლის გაგრძელებას აპირებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და აკმაყოფილებს შესაბამისი პროფესიული სტანდარტით პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე დადგენილ დამატებით მოთხოვნებს.

მუხლი 3. საკონკურსო კომისია

1. კონკურსის ორგანიზებისა და ჩატარების მიზნით, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება საკონკურსო კომისია.
2. კონკურსი ტარდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით განსაზღვრული განრიგის შესაბამისად.
3. საკონკურსო კომისია შედგება არანაკლებ 5 წევრისაგან - კომისიის თავმჯდომარე, კომისიის მდივანი და კომისიის წევრები. საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში შესაძლოა შევიდეს დამსაქმებელი ორგანიზაციის /ორგანიზაციების წარმომადგენელი/წარმომადგენლები და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების წარმომადგენელი/წარმომადგენლები.
4. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი. ხმათა გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
5. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება კომისიის სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი. საკონკურსო კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

მუხლი 4. კონკურსის ჩატარების ფორმა და პირობები

1. აპლიკანტთა შესარჩევი კონკურსი ტარდება გასაუბრების გზით.
2. კონკურსის ჩატარების თარიღი განსაზღვრავს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
3. კომისია აპლიკანტთა შეფასებას ახორციელებს წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით (დანართი N1).
4. აპლიკანტის შეფასება ხორციელდება 50 ქულიანი სისტემით. მინიმალური კომპეტენციის ზღვარს წარმოადგენს 21 ქულა.
5. საკონკურსო კომისიის მიერ აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება დამტკიცებული ფორმის (დანართი N1 და დანართი N2) შესაბამისად.
6. კოლეჯის მიერ კონკურსის შედეგები ტესტირების დასრულებიდან არაუგვიანეს 2 დღისა აისახება მართვის სისტემის სპეციალურ პროგრამაში.
7. საკონკურსო კომისია ახდენს კონკურსის შედეგების შეჯამებას, შერჩეული აპლიკანტების გამოვლენა და შესაბამის კომისიის ოქმში ასახვა, რომელსაც თან ერთვის აპლიკანტების შეფასების ფურცელი.
8. საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის შედეგები წარედგინება კოლეჯის დირექტორს.

მუხლი 5. კონკურსში მონაწილე აპლიკანტთა და კოლეჯის უფლება - მოვალეობები

1. აპლიკანტი, რომელიც მონაწილეობას იღებს კონკურსში ვალდებულია დადგენილ დროს გამოცხადდეს გასაუბრებაზე და თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (პირადობის მოწმობა/პასპორტი).
2. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე გამოცხადებული აპლიკანტი გასაუბრებაზე არ დაიშვება.
3. გასაუბრებაზე გამოუცხადებლობა (მიზეზის მიუხედავად) აპლიკანტს ართმევს უფლებას მოითხოვოს განმეორებითი გასაუბრება.
4. გასაუბრების შედეგები გასაუბრების ჩატარებიდან არაუგვიანეს მომდევნო დღისა განთავსდება კოლეჯის ვებ - გვერდსა და საინფორმაციო დაფაზე.

მუხლი 6. საპრეტენზიო კომისიის შექმნისა და პრეტენზიების განხილვის წესი

1. აპლიკანტთა შერჩევასთან დაკავშირებული საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების მიზნით, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით იქმნება საპრეტენზიო კომისია არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით.
2. საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდეს საკონკურსო კომისიის წევრი.
3. საკონკურსო პროცედურებთან დაკავშირებული დარღვევებისა და კონკურსის შედეგების გასაჩივრების მიზნით აპლიკანტმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს საპრეტენზიო კომისიას, კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა.
4. საპრეტენზიო კომისია წარდგენილ განცხადებას განხილავს და გადაწყვეტილებას იღებს ერთი სამუშაო დღის ვადაში.
5. საპრეტენზიო კომისიის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება კომისიის ყველა წევრი.

6. საპრეტენზიო კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა უმრავლესობით. ხმათა გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
7. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება კომისიის სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერეს კომისიის ყველა წევრი. საპრეტენზიო კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

მომზადებულია: /თ. მემანიშვილი/

შეთანხმებულია:

1. დირექტორის მოადგილე /დ. უგულავა/
2. ხარისხის მართვის მენეჯერი /ნ. ნამგალაძე/
3. სასწავლო პროცესის მენეჯერი /მ. დანელია/
4. რეესტრის წარმოების სპეციალისტი /ე. მჭედლიშვილი/

დანართი N1

სსიპ - კოლეჯი „მერმისი“

ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის ჩიხი N9ა

„-----„ ---------- 20__ წ.

შესარჩევი კონკურსისათვის აპლიკანტთან გასაუბრების შეფასების ფორმა

გასაუბრების მაქსიმალური შეფასება - 50 ქულა.

თითოეული კრიტერიუმის მაქსიმალური შეფასება - 10 ქულა

N	აპლიკანტის გვარი, სახელი	კრიტერიუმი						
		თვითპრეზენტაცია	მოტივაცია	დამოუკიდებლად მუშაობა	გუნდური მუშაობა	კომუნიკაციის უნარი	ქულათა ჯამი	შენიშვნა
1.								
2.								
3.								
4.								
5.								
6.								
7.								
8.								
9.								
10.								
11.								
12.								

კომისიის თავმჯდომარე/წევრი/მდივანი: გვარი, სახელი

ხელმოწერა

დანართი N2

სსიპ - კოლეჯი „მერმისი“

ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის ჩიხი 9ა „-----„ ---------- 20__ წ.

აპლიკანტთან გასაუბრების საბოლოო შეფასების ფორმა

გასაუბრების მაქსიმალური შეფასება - 50 ქულა.

N	აპლიკანტის გვარი, სახელი	მიღებული ქულა	შენიშვნა
1.			
2.			
3.			
4.			
5.			
6.			
7.			
8.			
9.			
10.			
11.			
12.			
13.			
14.			
15.			
16.			
17.			
18.			
19.			

კომისიის თავმჯდომარე: გვარი, სახელი ხელმოწერა

კომისიის წევრი: გვარი, სახელი ხელმოწერა

კომისიის წევრი: გვარი, სახელი ხელმოწერა

კომისიის წევრი: გვარი, სახელი ხელმოწერა

კომისიის წევრი: გვარი, სახელი ხელმოწერა

კომისიის მდივანი: გვარი, სახელი ხელმოწერა